# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 190. ხუთშაბათი, 5 თებერვალი 1904 წ. გაზეთის № 2400.

## უ ზ ს კ რ უ ლ ი

მოთხრობა ლეონიდ ანდრეევისა.

(დასასრული*)

IV

ნემოვეცკის პირი მიწით ევსებოდა და კბილებზე ეღრაჭუნებოდა და, როცა გონს მოვიდა, ყველაზე პირველად მძიმე მიწის სუნი იგრძნო. თავი დასჩლუნგებოდა, ჩასტყვივებოდა და დაძვრა უძნელდებოდა; მთელი სხეული სტეხდა და ზეჰიც საშინლად სტკიოდა, თუმცა კი გატეხილი არა ჰქონდა რა. ნემოვეცკი წამოჯდა და კაი ხანს ზევით იცქირებოდა, თითქო ალარაფერზე არა ფიქრობსო და ალარაფერიც ახსოვსო. ზედ იმის თავზე შავი, ფართო ფოთლებიანი ბუჩქი გადმოკიდულიყო და ფოთლებს შუა მოწმენდილი ცა მოსჩანდა. ღრუბელს გაევლო და წვიმის ერთი ცვარიც კი არ გაეგდო, პირიქით ჰაერი კიდევაც გაემშრალებინა და გაემსუბუქებინა. მაღლა, გამსჭვირვალი, მილეული მთვარეც ამართულიყო. იგი უკანასკნელ ღამეებს ლა ატარებდა და ამიტომაც ცივად, მოწყენით და ობლად აშუქებდა. ღრუბლის პატარა ნაჭრები სწპირიქით, ფრთხილად გზას უქცევდნენ. მთვარის მარტოობასა, მაღალის, სპეტაკის ღრუბლების სიფრთხილესა და ძირს შეუმჩნეველ ქარის ქროლაში ქვეყანაზე გამეფებულ ღამის საიდუმლოებრივი ჩათხრობილება იხატებოდა.

ნემოვეცკიმ მოიგონა ყველაფერი, რაც კი მოხდა, და არ დაიჯერა. ყველაფერი, რაც მოხდა, საშინელება იყო და სრულებით არ წააგავდა სინამდვილეს, რომელიც არ შეიძლება ასე შემაძრწუნებელი ყოფილიყო. თვით ნემოვეცკიც უკუნეთში მჯდომი და ქვევიდან გადმობრუნებულ მთვარისა და მიმქროლავ ღრუბლების შემაცქერალი, საოცარი იყო და არა ჰგავდა თავის თავს. გაიფიქრა, რომ ყოველივე გამოვლილი ჩვეულებრივი საშინელი სიზმარი იყო, ერთობ საშინელი და საძაგელი. ის ქალებიც, რომელნიც მრავლად ჰხვდებოდნენ, აგრეთვე სიზმარი იყო.

— არ შეიძლება,—სთქვა იმან დაბეჯითებით და დამძიმებული თავი სუსტად გაიქნია:—არ შეიძლება!

ხელი გაიშვირა და წასასვლელად ქუდის ძებნა დაიწყო, მაგრამ ქუდი არსად იყო. ამ გარემოებამ ყველაფერი ნათელ ჰყო; მიჰხვდა, რომ გამოვლილი სიზმარი კი არა, შემაძრწუნებელი სინამდვილე იყო. ამის შემდეგ იგი, შიშისაგან მიმკვდა-

შორეულ აღმოსავლეთში ჯარების გაგზავნა ტფილისიდან.



სადილი მიმავალ ჯარისკაცებისათვის, 2 თებერვალს გამართული საიუნკრო სასწავლებლის მოედანზე.

რაფად მისცურავდნენ ცაზე, სადაც უნდა ვიფიქროთ, ძლიერი ქარი ჰქროდა, მაგრამ მთვარეს არამც თუ არ ეფარებოდნენ, რებული, მიფოფხავდა ზევით, მოგლეჯილ მიწასთან ერთად ისევ უკან ვარდებოდა, მაგრამ კვლავ მიფოფხავდა და ჩირგვების მოქნილ ტოტებს ებღაუჭებოდა.

*) იხ. „დამატება" № 188.



სადილი შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ აფიცრებისთვის, 2 თებერვალს გამართული საიუნკრო სასწავლებლის მოედანზე.



მიმავალი ჯარის გაცილება. საერთო სურათი საიუნკრო სასწავლებლის მოედანზე შეგროვილ ჯარებისა.

ამოსვლის უმალვე პირ-და-პირ, დაუფიქრებლად და გზის მოუძებნელად გაიქცა, დიდხანს მირბოდა და ხეებს შუა პრო-წიალებდა. ასეთისავე სისწრაფით და მოუფიქრებლად დაეშვა მეორე მხარეს და ისევ ტოტებმა დაუწყეს სახის კაწვრა, ისევ ყველაფერი სიზმარს დაემსგავსა. ნემოვეცკის წარმოუდგა, რომ რაღაცა ამის მსგავსი როდესღაც კიდევაც გადახდა: უკუნეთი, სახის მკაწრავი უჩინარი ტოტები, ის-კი მირბის თვალ-დახუჭუ-ლი და ფიქრობს, რომ ყველაფერი ეს სიზმარია. ნემოვეცკი შეჩერდა, მერე დაჯდა როგორღაც უხერხულად, უჩვეულოდ, მსგავსად იმ კაცისა, რომელიც თითქოს განართხულია მიწაზედ. ისევ ქუდი მოაგონდა და სთქვა:

— ეს მე ვარ. უნდა თავი მოვიკლა, უნდა თავი მოვიკლა, თუნდ რომ სიზმარიც იყოს ესა.

წამოვარდა და ისევ მოჰკურცხლა, მაგრამ მალე გონზე მოვიდა და ნელის ნაბიჯით გასწია, ამასთან ბუნდათ იგონებდა იმ ადგილს, სადაც თავს დაეცნენ. ტყეში ძრიელ ბნელოდა, თუმცა ზოგჯერ მთვარის მკრთალი შუქი ჩამოანათებდა ხოლმე და ხეებზე მიშუქებით თვალს ატყუებდა. ტყე უძრავ და რაღაც მიზეზით გაყუჩებულ ხალხით სავსეს ჰგავდა. და ესეც ხომ ოდესღაც იყო, ესეც ხომ სიზმარსა ჰგავდა!

— ზინაიდა ნიკოლაევნა!—იძახდა ნემოვეცკი. პირველს სიტყვას ხმა-მაღლა ამბობდა, ხოლო მეორეს დადაბლებით, თითქოს იმედი არა აქვს, რომ ვინმე გამოეხმაურება. არავინ ხმას არ იძლეოდა.

ამის შემდეგ ბილიკს წააწყდა, იცნო და აქედან პატარა ველზე გავიდა. აქ კარგად დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს სიმართლეა, შიშით წაბარბაცდა და დაიყვირა:

— ზინაიდა ნიკოლაევნა! ეს მე ვარ, მეე!

პასუხი არავის გაუცია. მიბრუნდა რა იქით, საითაც ქა-ლაქი უნდა ყოფილიყო, ნემოვეცკიმ გარკვევით დაიყვირა:

— მი-შვე-ლეეთ!..

კვლავ წაბარბაცდა, რაღასაც ბუტბუტებდა, ბუჩქებს სინ-ჯავდა, რომ ამ დროს სწორედ იმის ფეხების წინ თეთრი, შემ-

ღვრეული წერტილი ამოცურდა. იგი სუსტ სინათლის გაშეშებულ წერტილსა ჰგავდა. ეს ზინაიდა იყო.

— ღმერთო! ეს რაღაა?—მშრალის თვალებით, მაგრამ მოტირალ კაცის ხმით სთქვა გაშტერებულმა ნემოვეცკიმ და მუხლებზე დაჩოქილი მწოლარეს შეეხო, იმისი ხელი მოჰხვდა ტიტველს სხეულს, რბილს, მოქნილს, ცივს, მაგრამ ცოცხალს სხეულს და ნემოვეცკიმ შეკრთომით უკანვე გაიტაცა თავის ხელი.



ბარონ როზენი, რუსეთის საიმპერატორო ელჩი, იაპონიაში, ეხლახან გამოწვეული ომის გამოცხადების გამო.

— ჩემო საყვარელო, ჩემო მტრედო, მე ვარ მე.—ჩასჩურჩულებდა იგი და თანაც ბნელაში იმის სახეს ეძებდა. ხელ ახლა სხვა მხარეს გაიშვირა ხელი და კიდევ ტიტველა სხეულს წააწყდა და ასე, საითკენაც კი ხელს გაიშვერდა, ყველგან ჰხვდებოდა ამ ტიტველა, რბილს ფაფუკს, ქალის მოქნილს სხეულს, რომელიც ხელის მიკარებით თითქოს ხურდებოდა. სწრაფად აშორებდა ხელსა, მაგრამ ზოგჯერ კიდეც აჩერებდა სხეულზე და, როგორც თითონ იგი, უქუდო, შემოფლეთილი სინამდვილეს არ წააგავდა, ისე ამ გაშიშვლებულ სხეულთან ზინოჩკა ვერ დაეკავშირებინა. ის, რაც აქ მოხდა, რაც ადამიანებმა ამ ქალის უხმო სხეულზე ჩაიდინეს, მთელი თავის შემზარავის სინამდვილით წარმოუდგა ნემოვეცკის და იმის სხეულის ყველა ნაწილში რაღაც საოცარმა ძალამ გაიხმაურა. ნემოვეცკი ჯერ გაიზმორა ისე მძლავრად, რომ სახსრებმა ქახაჭუხი დაუწყო და მერე ტუტუცურად დააშტერდა თეთრს წერ-



მანჯურია.—რკინის გზის ლიანდაგის გაწმენდა.

ტილს დაფიქრდა და წარბები მოიღუშა. ნანახისგან შიშით ძარღვები გაეყინა.

— ღმერო, ეს რაღაა?—გაიმეორა იმან, მაგრამ ეს განმეორება, თითქოს განზრახ ყალბი იყო. მკერდზე ხელი მოუსვა; გული სუსტად, მაგრამ თანაბრათ უცემდა და, როდესაც ქალის პირისახეს მიუახლოვდა, სუსტი სუნთქვაც იგრძნო, თითქო



მანჯურია.—რუსები დარაჯად



მანჯურია.—რუსის ჯარი მუკდენში.

ზინოჩკა ღრმად გულშეწუხებული კი არ იყო, არამედ ჩვეულებრივ ეძინა. წყნარად გაეხმაურა ქალსა:

— ზინოჩკა, მე ვარ!

მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ რიღასთვისაც კარგი იქნებოდა, თუ ის ჯერ კიდევ კაი ხანს ვერ გამოიღვიძებდა. იქაურობას თვალი შემოავლო, სული განაბა, მერე ფრთხილად

ლოყაზე ხელი წაუსვა და აკოცა ჯერ დახუჭულ თვალებში და შემდეგ ტუჩებში. კოცნა მაგარი იყო მაგრამ ხმა სუსტი მოისმა. ქალის გამოღვიძებისა შეეშინდა, ცოტა უკან დაიწია და სული გატვრინა. სხეული კი უჩუმრად და უძრავად იდო, მის უმწეობასა და უპატრონობაში იყო რაღაცა შესაბრალისი, აღმშფოთებელი, მოუგერებლად თავისკენ მიმზიდავი. დიდის სინაზით და ქურდულის, შემპარავის სიფრთხილით სცდილობდა ნემოვეცკი, ქალისავე ტანისამოსის ნაგლეჯები დაეფარებინა მისთვის. ეს ორკეცი გავლენა ტანისამოსისა და ტიტველა სხეულისა ისე მჭრელი იყო, როგორც დანა, და მიუწდომელი, როგორც სიგიჟე. ნემოვეცკი იყო მოსარჩლედ და იმადაც, ვინც თავს ესხმის, და თითქო დახმარებას სთხოვდა გარშემორტყმულ ტყესა და უკუნეთსა, გარნა ტყე და უკუნეთი ყურადღებას არ აქცევდა. აქ იყო მხეცთა ქეიფი და, უცბად გადატყორცნილი იქით მხარეს, სადაც ადამიანური, შეგნებული და მარტივი ცხოვრებაა, ეს ჰყნოსავდა ჰაერში განბნეულს, მწვავ ავხორციელობას და ცხვირის ნესტოებს იგანიერებდა.

— ეს მე ვარ! მე!—იმეორებდა იგი უაზროდ და ნათლად იდგენდა, თუ ოდესღაც როგორ დაინახა იუბკის თეთრი ზოლი, შავი მოყვანილობა ფეხისა და მაზე ნაზად ჩაცმული ტუფლი. ზინოჩკას სუნთქვას ყური დაუგდო, ამასთან თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, სადაც ზინოჩკას სახე იყო და ხელიც წაატანა.

— ეს რაღაა?—ხმა-მაღლა და სასოწარკვეთილებით შეჰყვირა ნემოვეცკიმ, წამოხტა და შეეშინდა თავის თავისა. თითქო ერთის წამით გაიელვა ზინოჩკას სახემ იმის თვალებში და გაჰქრა. სცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ეს სხეული ზინოჩკასია, რომელთანაც დღეს სეირნობდა და რომელიც დაუსრულებლობაზე ებაასებოდა,—მაგრამ ვერ დარწმუნდა, სცდილობდა ეგრძნო გამოვლილი უბედურება, მაგრამ უბედურება მეტად დიდი იყო, რომ ეწამნა იმისი სინამდვილე და ამიტომაც არა სჯეროდა რა.

(უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან)



მასპინძელი.—განგებ სკამები სტოლზე შევაწყობინე, რომ სტუმრები თავიდან მომშორებოდნენ, მაგრამ ესენი თავისას არ იშლიან.

— ზინაიდა ნიკოლაევნა!—ხვეწნით ჩასძახა ნემოვეცკიმ. —ეს რაღაა? ზინაიდა ნიკოლაევნა?

მაგრამ წამებულმა სხეულმა ხმა არ გასცა. გაურკვეველ სიტყვების ბოდვით ნემოვეცკი იმის წინ მუხლებზე დაეშვა. ემუდარებოდა, ემუქრებოდა, უცხადებდა, რომ თავს მოვიკლავო, ანძრევდა მწოლარეს, აყენებდა, აბრუნებდა, იხუტებდა და თითქმის ფრჩხილებსაც კი უყრიდა. მოთბილო სხეული ადვილად ემორჩილებოდა იმას თითქო ეთანხმებოდა იმის მოქმედებას და ყველა ეს ისე საშიშარი, გაუგებარი და ველური გამოდიოდა, რომ ნემოვეცკი ხელ-ახლა წამოხტა და გარკვევით შეჰყვირა:

— გვიშველეთ!—მაგრამ ეს ყვირილი თითქოს განზრახი, ყალბი იყო.

კვლავ დაეშვა მორჩილს სხეულზე, ჰკოცნიდა, სტიროდა და თვალ-წინ ჰგრძნობდა რაღაც ბნელს, საშიშარ მიმზიდავს უბსკრულს. ნემოვეცკი აღარ იყო, ნემოვეცკი სადღაც უკან დარჩენილიყო და ის, ვინც ეხლა იყო, ვნება შერეულის სისასტიკით სრესდა მოთბილო, მორჩილ სხეულს, ლაპარაკობდა და ეშმაკურად იღიმებოდა.

— ხმა გამე! ან იქნება არ გინდა? მიყვარხარ, მიყვარხარ!

იმავე ეშმაკურის სიცილით მიუახლოვა დაჭყეტილი თვალები ზინოჩკას სახეს და ჩასჩურჩულა:

— მე შენ მიყვარხარ. შენ არ გინდა ლაპარაკი, მაგრამ გეღიმება კი, მე ამას ვხედავ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

ნემოვეცკიმ მაგრად მოზიდა თავისკენ რბილი, უწინააღმდეგო სხეული, რომელიც თავის უსიცოცხლო მორჩილებით ველურ ნდომას ულვიძებდა, ხელებს იმტვრევდა, უხმოდ ლუღლუღებდა, და ადამიანის მარტო ერთი თვისება ღა, ცრუობისა, შერჩენოდა.

— მიყვარხარ. ჩვენ არავის ვეტყვით და ვერც არავინ გაიგებს. ჯვარს დავიწერ შენზე, ხვალ, როცა გინდა. მე შენ მიყვარხარ, მე შენ გაკოცებ და შენც სამაგიეროს გადმიხდი—ჰოო? „ზინოჩკა!..“

და ძალუმად მიეწება ქალის ტუჩებს, ჰგრძნობდა კიდეც, კბილები როგორ ერჭობიან სხეულში. ამავე დროს ჰკარგავდა უკანასკნელს სიფხიზლეს აზრისას. ნემოვეცკის მოეჩვენა, რომ ქალის ტუჩები შეინძრა. უეცრად გაელვებულმა ცეცხლებრივმა საშინელებამ იმის ტვინი გაახურა და იმის წინაშე შავი უბსკრული გამოაჩინა.

და შავმა უბსკრულმა შთანთქა იგი.

ს. წერეთელი.



ზრდილობიანი ქურდი

—რას ქშებ აქ?

ქურდი.—უკაცრავად, ბატონო, ჯერ მე თვითონ არ ვიცი რას ვიპოვი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.